სარჩევი

რა არის ახალი 2

საშემოსავლო დეკლარაციის განახლებული დანართი „ა“ - საპენსიო შენატანებით 2

მრავალდონიანი ავტორიზაციის ფუნქციონალი 2

კრედო ბანკთან ინტეგრაცია 6

რა არის ახალი მარდიში 13

სხვა მოდიფიკაციები 13

ბალანსის რელიზი_1.3.9.1

08.01.2025

რა არის ახალი

საშემოსავლო დეკლარაციის განახლებული დანართი „ა“ - საპენსიო შენატანებით

996 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ბალანსის პროგრამაში დაემატა განახლებული საშემოსავლო დეკლარაციის ვარიანტი - დანართი "ა" - ინფორმაცია განაცემების შესახებ საპენსიო შენატანებით, რომელიც ითვალისწინებს, საპენსიო შენატანების და სხვა შეღავათების ცალ-ცალკე აღრიცხვას



მრავალდონიანი ავტორიზაციის ფუნქციონალი

პროგრამა "ბალანსში" დაემატა მრავალდონიანი ავტორიზაციის ფუნქციონალი, რომელიც საშუალებას იძლევა სხვა და სხვა დოკუმენტის გადახედვა და დადასტურება მოხდეს ეტაპობრივად, რამდენიმე მომხმარებლის მიერ.რამდენიმე მომხმარებლის მიერ.

ფუნქციონალის გამოსაყენებლად საჭიროა ადმინისტრირების მოდულში, "მომხმარებლის პარამეტრები და უფლებების" ქვეჯგუფში, ჩართული იყოს ალამი "მომხმარებლის ოპერაციების

მრავალდონიანი ავტორიზაციის გამოყენება".



დამაავტორიზებელი მომხმარებლების დაჯგუფება შესაძლებელია **შემსრულებლის როლებში**.



ავტორიზაციის ეტაპების აწყობა შესაძლებელია ავტორიზაციის მარშრუტებში დოკუმენტების მიხედვით. საჭიროა შემდეგი ველების შევსება:

- **დასახელება** - მექანიკურად შესავსები ველი
- **ობიექტის ტიპი** - ეთითება დოკუმენტის ტიპი
- **გატარება** - განისაზღვრება, დოკუმენტს გატარება დადასტურებამდე უნდა ჰქონდეს თუ მხოლოდ დადასტურების შემდეგ
- **ინიციატორის შეტყობინება** - ეთითება დავალება



"შემსრულებლების დამატება" ღილაკით დოკუმენტის ჭრილში ხდება შემსრულებლებისა და ეტაპების მითითება.



ახალი ეტაპის დამატება ხდება „დამატება“ ღილაკზე დაჭერით.

როლში უნდა მიეთითოს შემსრულებლის როლები, რომლებიც დააავტორიზებენ დოკუმენტს შესაბამის ეტაპზე.

სტატუსი ავტომატურად ივსება, თუმცა შესაძლებელია მისი ხელით რედაქტირება. აღნიშნული ავტორიზაციის სტატუსი ენიჭება დოკუმენტს შესაბამისი ეტაპის დადასტურების შემდეგ. ინფორმაციის შესანახად გამოიყენეთ "შენახვა და დახურვა" ღილაკი.

მრავალდონიანი ავტორიზაციის აწყობისას შესაძლებელია სხვადასხვა ფილტრის გამოყენება. **"ფილტრის დადება"** ღილაკის მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს ავტორიზაციის სპეციფიკური პირობები.



მაგალითად, საწყობის ფილტრის დაყენების შემთხვევაში, ავტორიზაციის წესები გავრცელდება მხოლოდ ძირითად საწყობზე, ხოლო სხვა საწყობებში გატარებული დოკუმენტები ავტორიზაციის ეტაპებს არ გაივლიან.

დოკუმენტს, რომელზეც ჩართულია ავტორიზაცია, გატარებისას ავტომატურად ენიჭება სტატუსი “მომზადებული”. ქუდურ ნაწილში ემატება ღილაკი “ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია”.



მომხმარებელს თავისი დასაავტორიზებელი დოკუმენტების ნახვა შეუძლია ფორმაზე „ჩემი ამოცანები“ (მთავარი >> ჩემი ამოცანები)



პირველივე ეტაპის დადასტურების შემდეგ, დოკუმენტი იბლოკება და რედაქტირება აღარ არის შესაძლებელი.

ღილაკით შესაძლებელია დოკუმენტის ავტორიზაციის ისტორიის ნახვა.

კრედო ბანკთან ინტეგრაცია

პროგრამიდან შესაძლებელია თიბისი ბანკის ინტერნეტბანკთან მონაცემების გაცვლა. გაცვლა ხორციელდება ვებ-სერვისების გამოყენებით და შესაძლებელია როგორც გამავალი საგადახდო დოკუმენტების ატვირთვა ინტერნეტბანკში, ასევე ანგარიშის ამონაწერის მიხედვით შემომავალი საგადახდო დოკუმენტების შექმნა. გაცვლის პროცესში დაცულია უსაფრთხოების კომპონენტები, როგორებიცაა: მომხმარებლის სახელი და ID.

ძირითადი აწყობები

ინტერნეტბანკთან ინტეგრაციის გამოყენებისთვის საჭიროა ჩართული იყოს ალამი „ბანკთან ინტეგრაცია ვებ-სერვისებით“, ძირითად მენიუში ადმინისტრირების ქვესისტემაში, მონაცემების სინქრონიზაციის აწყობები. აღნიშნული ალმის ჩართვის შემთხვევაში „ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვის“ მენიუს პუნქტი შეიცვლება „ბანკთან ინტეგრაციით“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ინტერნეტ-ბანკთან მონაცემების გაცვლას, ასევე ამონაწერის ჩატვირთვის ფუნქციონალსაც.

იმისათვის, რომ კომპანიის ანგარიშიდან განხორციელდეს საგადახდო დოკუმენტების ატვირთვა და/ან ჩამოტვირთვა, ანგარიშზე უნდა მოხდეს შესაბამისი პარამეტრების მითითება და ალმის ჩართვა „გაცვლა ინტერნეტბანკთან“



აღნიშნული კომპანიის საბანკო ანგარიში უნდა მიეთითოს შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშს, საიდანაც მოხდება თანხის გასვლა ან შემოსვლა.



გამავალი საგადახდო დოკუმენტების ატვირთვა ინტერნეტ ბანკში

დავალების გადატვირთვა ინტერნეტ ბანკში ფულის დოკუმენტიდან

საგადახდო დავალებების ატვირთვა ინტერნეტბანკში შესაძლებელია როგორც ფულის დოკუმენტებიდან, სათითაოდ, ასევე ჯგუფურად, დამუშავებიდან „ბანკთან ინტეგრაცია“.

იმისთვის რომ ფულის დოკუმენტებიდან ინდივიდუალურად გადავტვირთოთ ბანკში საგადახდო დავალებები, აუცილებელია ისეთი აღრიცხვის ანგარში იყოს არჩეული დოკუმენტში, რომელსაც მიბმული ექნება საბანკო ანგარიში, ხოლო ამ საბანკო ანგარიშზე ჩართული იქნება ალამი „გაცვლა ინტერნეტბანკთან“. რის შედეგადაც დოკუმენტში, სტანდარტული ველების გარდა გამოვა შემდეგი დამატებითი ველები:



(1) გადახდის დანიშნულება - არის სავალდებულოდ შესავსები ველი, ივსება მომხმარებლის მიერ გადარიცხვის დანიშნულებისამებრ გარდა ხაზინაში გადარიცხვის ოპერაციის ტიპისა, რომელსაც ავტომატურად გადარიცხვისთანავე ეთითება დანიშნულება;

(2) საბანკო ანგარიში - საბანკო ანგარიში ივსება ავტომატურად, რომელიც მითითებულია აღრიცხვის ანგარიშზე;

(3) მიმღების საბანკო ანგარიში - ივსება ავტომატურად კონტრაგენტის ბარათზე მითითებული საბანკო ანგარიშის ველიდან. იმ შემთხვევაში თუ კონტრაგენტზე დამატებულია სხვადასხვა საბანკო ანგარიში სურვილისამებრ შესაძლებელია გადარჩევაც

მას შემდეგ რაც შეივსება სავალდებულო ველები და გატარდება „ფულის გასვლა ბანკიდან“, დოკუმენტზე გაჩნდება ღილაკი- „ინტერნეტ ბანკი“ და სტატუსი ინტერნეტ ბანკში.



„ინტერნეტ ბანკის“ ღილაკზე დაჭერისას გამოჩნდება დამატებით ღილაკი „ატვირთვა“ ან „სტატუსის განახლება“.

მას შემდეგ რაც დოკუმენტი გატარდება და მომხმარებელი დააჭერს ღილაკს „ატვირთვა“, გამოჩნდება საბანკო რეკვიზიტების შესავსები ველების ფორმა, რომელშიც უნდა შეიყვანოთ ინტერნეტ ბანკის მხარეს დაგენერირებული ინტეგრაციის მომხმარებლის მონაცემები.



სავალდებულო ველების შევსების შედეგად ტრანზაქციის შესახებ დავალება გადაიგზავნება ინტერნეტ ბანკში. ხოლო ინტერნეტ ბანკში მოხდება დავალების დადასტურება ან გაუქმება. გადატვირთული დავალების შესაბამისი სტატუსი შესაძლებელია შემოწმდეს დოკუმენტის სტატუსის განახლებითა ველში „სტატუსი ინტერნეტ ბანკში“.

„სტატუსი ინტერნეტ ბანკში“ შესაძლებელია იყოს განსხვავებული შემთხვევების შესაბამისად, ხოლო სტატუსის შესაბამისად განსხვავებულია ღილაკი „ინტერნეტ ბანკის“ დამატებითი ღილაკები „ატვირთვა“ ან „სტატუსის განახლება“:

სტატუსი ინტერნეტ ბანკში	აღწერა	აქტიური ღილაკი
მომზადებულია გადასატვირთად	დოკუმენტი გატარებულია და შესაძლებელია ატვირთვა ინტერნეტ ბანკში	ატვირთვა
ხელმოსაწერი	დოკუმენტი ატვირთულია პროგრამიდან და ინტერნეტ ბანკიდან ელოდება ავტორიზაციას	სტატუსის განახლება

დასრულებული	ინტერნეტ ბანკში წარმატებით გაიარა ავტორიზაცია	სტატუსის განახლება
გაუქმებული	ინტერნეტ ბანკში არ დაავტორიზდა, დავალება გადარიცხვაზე გაუქმდა	სტატუსის განახლება

დავალების გადატვირთვა ინტერნეტ ბანკში „ბანკთან ინტეგრაციის“ დამუშავებიდან

იმისთვის რომ ბანკთან ინტეგრაციის დამუშავებიდან საგადახდო დავალებების ჩამოტვირთვა ან ატვირთვა იყოს შესაძლებელი, აუცილებელია, როგორც ფულის დოკუმენტებში აქაც მითითებული იყოს აღრიცხვის ანგარიში, რომელზეც დაყენებული იქნება საბანკო ანგარიში ინტერნეტ ბანკთან გაცვლის ფუნქციონალით. ასევე სასურველია იმ პერიოდის მითითება, რომელი პერიოდის ოპერაციების ჩამოტვირთვა ან ატვირთვა სურს მომხმარებელს.

ბანკთან ინტეგრაციის დამუშავებაში, ჩამოტვირთვის ნაწილში, როგორც აქამდე შესაძლებელი იყო ახლაც შესაძლებელია ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვა, ხოლო სურვილისამებრ, ბანკთან ინტეგრაციის შემთხვევაში შესაძლებელია მითითებული საბანკო ანგარიშიდან ოპერაციების ჩამოტვირთვაც.



მას შემდეგ რაც ინტერნეტ ბანკიდან ჩამოიტვირთება დოკუმენტები, დაყენებული წესების აღქმა და დოკუმენტების შექმნა მოქმედებს ანალოგიურად, როგორც ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვის დროს იყო შესაძლებელი.

ატვირთვის ჩანართი გამოიყენება პროგრამაში გაფორმებული დოკუმენტების ასატვირთად ინტერნეტ ბანკში. აღნიშნული ჩანართი შესაძლებელია შეივსოს „სრული სიით“ (მითითებულ პერიოდში გატარებული ყველა დოკუმენტი), ან „მხოლოდ ასატვირთი დოკუმენტებით“ (დოკუმენტები რომლებიც გატარებულია მითითებულ პერიოდში მაგრამ ჯერ არაა გადატვირთული ინტერნეტ ბანკში)



იმისთვის რომ სასურველ დოკუმენტებზე მოხდეს შესაბამისი ოპერაციის ჩატარება, აუცილებელია მოინიშნოს ალმით. ალმის მონიშვნის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

1. სტატუსის განახლება - მონიშნული დოკუმენტების სტატუსები განახლდება პროგრამაში ან ინტერნეტ ბანკში განხორციელებული ოპერაციების შესაბამისად

2. ატვირთვა - ღილაკი გამოიყენება „გადასატვირთად მომზადებული“ დოკუმენტების ან „ხელახლა გადასატვირთი“ დოკუმენტების ასატვირთად ინტერნეტ ბანკში. ამ შემთხვევაშიც როგორც ფულის დოკუმენტებში გამოდის ბანკის სავალდებულო რეკვიზიტების შესავსები ფორმა, რომლის შევსების შედეგადაც მოხდება დავალებების ინტერნეტ ბანკში გადატვირთვა

3. სტატუსის დაყენება - დოკუმენტებზე შესაძლებელია შემდეგნაირი სტატუსების დაყენება:

მომზადებულია გადასატვირთად - იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტზე მინიჭებული არ არის სტატუსი, და გვსურს გადავტვირთოთ ინტერნეტ ბანკში, შესაძლებელია ხელით მიენიჭოს მონიშნულ დოკუმენტებს შესაბამისი სტატუსი

ხელახლა გადატვირთვა - იმ შემთხვევაში თუ გადატვირთული დავალება ინტერნეტ ბანკში არ დაავტორიზდა და გაუქმდა, პროგრამაში გაუქმებული სტატუსის დოკუმენტს შესაძლებელია მიენიჭოს სტატუსი „ხელახლა გადასატვირთი“ და ამის შემდეგ თავიდან გადაიტვირთოს ბანკში

არ გადაიტვირთოს - თუ სიაში გვაქვს გარკვეული დოკუმენტები, რომლებიც მზად არის გადასატვირთად, თუმცა არ გვსურს რომ გადავტვირთოთ, ხელით შესაძლებელია მიენიჭოს სტატუსი „არ გადაიტვირთოს, რის შედეგადაც აღნიშნული დოკუმენტები არ გადაიტვირთება ბანკში

4. გადახდის დანიშნულების შევსება - გადახდის დანიშნულების ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს დოკუმენტებზე არ აქვს შევსებული გადახდის დანიშნულება, ან სურს ერთი და იგივე დანიშნულება შეუვსოს რამდენიმე დოკუმენტს ერთად, აღნიშნულ დამუშავებაში შესაძლებელია ღილაკით „გადახდის დანიშნულების შევსება“ ამ ველების გადავსება სასურველი ინფორმაციით.

რა არის ახალი მარდიში

ფუნქციონალი:

- დისტრიბუციის ფუნქციონალის აწყობების გვერდი
- მარდიში თავისუფალი ნაშთისა და საწყობის ნაშთის გაცვლის აწყობადობა
- მყიდველზე რამდენიმე ფასის ტიპის მითითების შესაძლებლობა და მათი გადატვირთვა მარდიში

სხვა მოდიფიკაციები

- თიბისი ბანკთან ავტომატური ინტეგრაცია
- ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვა საწყობში გატარებული დღეების მიხედვით
- შეკვეთების დამუშავებაში ჯამური საქონლისა და ანგარიშსწორების საბეჭდი ფორმები
- საქონლის საწყობში მიღებისას მითვლის შესაძლებლობა
- რეალიზაციაში მყიდველის შეკვეთიდან მხოლოდ დარეზერვირებული საქონლის გადავსების შესაძლებლობა
- ურთიერთანგარიშსწორების შედარებაში ინფორმაციის გამოტანა სათავო ფილიალის მიხედვით